

## მრავალჯამიერ გუგუნებდეს ხმა!

მრავალჯამიერ გუგუნებდეს ხმა  
"მუმლი მუხასა" და "ლილეოსი",  
ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა, -  
ეს სიმღერაა საქართველოსი.

მოაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური,  
გესმის არაგვის ხმა საცნაური= -  
გესმის თერგის და მტკვარის ხმაური= -  
ეს სიმღერაა საქართველოსი.

მიარღვევს რისხვა აწყვეტის ავის,  
რომ არ უდრკება ქვეყნად არავის.  
გესმის გრიალი მთებიდან ზვავის= -  
ეს სიმღერაა საქართველოსი.

თავისუფლებისმოყვარე ერებს,  
ვით ზღვას, ვერარა ვერ შეაჩერებს.  
მთა რომ იმღერებს. ტყე რომ იმღერებს, -  
ეს სიმღერაა საქართველოსი.

აქ გამარჯვების დროშად წერია:  
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია!  
თუ რამ სიმღერა გულს უმღერია, -  
ეს სიმღერაა საქართველოსი.

გმირებით სავსე, სამშობლო მხარე,  
დღეს გამარჯვების გულით მღელვარე,  
იდიდე, ამ ხმას სხვაში ვერ გარევე:  
ეს სიმღერაა საქართველოსი.